„საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის #473 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად, სჯ მუნიციპალური ცენტრების მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის ანალიზის შედეგები და რეკომენდაციები

ქვეყანაში C ჰეპატიტის პრევენციის პროგრამის წარმატებით განსახორციელებლად და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის #473 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის „საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების შესახებ" მოთხოვნათა შესასრულებლად, 2025 წელს, წინა პანდემიის წლებთან შედარებით, გაზრდილია იმ მუნიციპალიტეტების რიცხვი, რომლებშიც ხორციელდება ზემოაღნიშნული დადგენილების შესასრულებელი ღონიძიებები „საზოგადოებრივი მნიშვნელობის ობიექტებში".

გასულ წელს ქვეყნის თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში განახლდა საქმიანობა დადგენილების შესასრულებლად და მუნიციპალიტეტებში ჩატარებული შემოწმებების შედეგები წარმოდგენილია სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში (შემდგომში ცენტრი) გასაანალიზებლად.

საანგარიშო პერიოდში სულ ქვეყანაში ჩატარებულია 1699 ობიექტის შერჩევითი/პირველადი შემოწმება და 358 განმეორებითი შემოწმება ამავე ობიექტებში, სულ ჩატარებულია 2057 შემოწმება; აქედან ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევების ფაქტი დაფიქსირებულია 499 შემოწმებისას ანუ ჩატარებული შემოწმებების 29.4%-ში. შერჩევითი შემოწმებისას დარღვევები გამოვლინდა 469 ობიექტში და თითქმის ყველას მიეცა "გონივრული ვადა" მდგომარეობის გამოსასწორებლად.

შერჩევითი შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების მქონე ობიექტებში მიცემული „გონივრული ვადის" გასვლის შემდეგ, დარღვევის გამოსწორების საკითხი გადამოწმებული იყო 358 შემთხვევაში, ანუ მხოლოდ 76.7%-ში; რეგლამენტის მოთხოვნების მიხედვით, აუცილებელია ყველა იმ ობიექტის გადამოწმება, სადაც მიცემული იყო „გონივრული ვადა" მდგომარეობის გამოსასწორებლად. განმეორებითი შემოწმებისას, 30-მდე ობიექტში (ანუ 8.4%-ში) ისევ განმეორდა ესა თუ ის დარღვევა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არარეგისტრირებული ობიექტების მუშაობა აკრძალულია რეგლამენტის მოთხოვნების მიხედვით (მუხლი 3. პუნქტი 3.) და ამიტომ მათი აღმოჩენისას აუცილებელია ადმინისტრაციული ზომების გატარება - ობიექტის შეჩერება და ამ

შემთხვევაში არ უნდა იქნას გამოყენებული „გონივრული ვადის“ მიცემა. საანგარიშო პერიოდში დაურეგისტრირებელი ობიექტი გამოვლენილი იყო 20 შემთხვევაში, მაგრამ ყველა დაურეგისტრირებელ ობიექტზე ადმინისტრაციული ზომები გატარებული არ ყოფილა.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში შეტანილია ობიექტების შემოწმებისას მიღებული ზოგიერთი ჯამური ინფორმაცია ნეგატიური პასუხების წილობრიობის (%) ჩვენებით.

სილამაზის სალონებში 2025 წელს ჩატარებული შემოწმებების
ზოგიერთი შედეგი ქვეყნის მასშტაბით

ზოგიერთი შეკითხვა სილამაზის სალონების შემოწმების კითხვარიდან	პასუხი „არა“ (%)
ობიექტში თვალსაჩინო ადგილას არის განთავსებული “ინფექციური დაავადებების გავრცელების მართვისთვის აუცილებელი კონკრეტული აქტივობების ჩამონათვალი”	17.5
ობიექტს აქვს ოპერირების წესი/პროცედურა (წერილობითი ფორმით) სტერილიზაცია-დეზინფექციის განხორციელების თაობაზე	23.4
მრავალჯერადი გამოყენების „კრიტიკული საგნების“ გასასუფთავებლად და გასასტერილებლად ადგილზე არსებობს შესაბამისი პირობები და საშუალებები	10.3
დაწესებულება აწარმოებს „სტერილიზაციის პროცედურების აღრიცხვის სპეციალურ ჟურნალს“	60.0
ერთჯერადი მოხმარების „კრიტიკული საგნები“ გამოყენების შემდეგ იყრება და ნადგურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით	67.8
ობიექტში გამოყენებადი სადეზინფექციო/სადეზინსექციო ხსნარები არის რეგისტრირებული ქვეყანაში და გამოიყენება ინსტრუქციის შესაბამისად	15.4
მაღალი დონის დეზინფექტანტების ეფექტურობის განსაზღვრა ხდება სპეციალური ტესტ-ჩხირებით	66.2
ობიექტში სადეზინფექციო ხსნარებთან მუშაობისას იყენებენ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს	11.0
დასუფთავებისთვის განკუთვნილი ინვენტარი არის მარკირებული	20.8
ობიექტის სახიფათო ნარჩენები გროვდება ერთჯერად პაკეტებს ან მრავალჯერადი გამოყენების ჭურჭელში, რომელსაც უტარდება რეცხვა და დეზინფექცია	58.5
ბასრი ინსტრუმენტები (ნემსები, კალმები და ა.შ.) გროვდება სხვა სახიფათო ნარჩენებისაგან ცალკე, მყარ, ერთჯერად სპეციალურ ტარაში	72.2
ობიექტში აკრძალულია სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების შერევა	65.0
სახიფათო ნარჩენების გატანა/ტრანსპორტირება/დამუშავება/განადგურებაზე	78.0

ობიექტს აქვს დადებული ხელშეკრულება შესაბამის ორგანიზაციასთან	
გასაპარსად განკუთვნილი საპარსის პირები არის ერთჯერადი და იყრება ბასრი საგნებისთვის განკუთვნილ სპეციალურ კონტეინერში	50.0
ფრჩხილების სერვისისთვის საჭირო აღჭურვილობა და ინსტრუმენტები მომხმარებლებს შორის შუალედში სუფთავდება და უტარდება საშუალო ან მაღალი დონის დეზინფექცია	10.0
სისხლდენის შემაჩერებელი საშუალებები ერთჯერადია და იყრება საშიში ნარჩენებისთვის განკუთვნილ კონტეინერში	26.0
პირსინგის ინსტრუმენტები ინახება შეფუთულ მდგომარეობაში/დახურულ კონ-ტეინერში/ბიქსში ისე, რომ არ დაბინძურდეს	52.4
ტატუირებაში გამოიყენება მხოლოდ ერთჯერადი სტერილური ნემსები	20.8
ელექტროლიზისთვის გამოყენებული ნემსები არის ერთჯერადი და სტერილური	39.4

საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილების შესასრულებლად, „მუნიციპა-ლიტეტების შესაბამის უფლებამოსილ პირებს“ უფლება აქვთ, საზოგადოებრივი მნიშვნე-ლობის დაწესებულებაში შერჩევითი შემოწმებისას (კონტროლის) კანონმდებლობასთან შეუსაბამობის აღმოჩენის პირველ შემთხვევაში, ობიექტს გაუწიოს სათანადო კონსულტაცია და განუსაზღვროს „გონივრული ვადა“ ხარვეზის აღმოსაფხვრელად. ამ ვადის გასვლის შემდეგ განმეორებით შემოწმებების დროს დაფიქსირებული დარღვევების ყველა შემთხვე-ვაში კი, შეავსოს ადმინისტრაციული აქტი კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომების გასატარებლად: ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა შეუსრულებლობა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 43.1-2 მუხლის შესაბამისად, *„გამოიწვევს ფიზიკური პირის/მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირისა – 100 ლარის ოდენობით“.* განმეორებით შემოწმებისას (შემდეგ წელს) დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში კი - *„ფიზიკური პირის/მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირისა – 500 ლარის ოდენობით“.*

საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში (სილამაზის, ტატუირების, პირსინგის, აკუპუნქტურის სალონები/კაბინეტები) ინფექციური კონტროლის მიმართულებით განხორ-ციელებული საქმიანობა და შესაბამისი რეკომენდაციების გათვალისწინება ხელს შეუწყობს ქვეყანაში C ჰეპატიტის პროგრამის წარმატებით განხორციელებას და დაავადების პრევენციას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, გაითვალისწინოთ ცენტრის მიერ 2025 წელს ჩატარებული ანალიზის შედეგები და უზრუნველყოთ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესრულება.